**სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის**
**სახელმწიფო უნივერსიტეტი**

24 მაისი, 2024 წ.

# ბრძანება N 01-12/89

## ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის სტაჟიორთა სერტიფიცირებისა და მათთან შრომითი ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 29 მარტის N2 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ბსუ-ში სტაჟირების გავლის წესის“, „ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტში სტაჟიორთა შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 06 დეკემბრის N01-10/137 ბრძანების, „ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტში სტაჟიორთა შერჩევის მიზნით საკონკურსო კომისიის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2024 წლის 16 იანვრის N01-10/01 ბრძანების, „ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტში სტაჟიორთა დანიშვნის შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2024 წლის 20 თებერვლის N01-12/43 ბრძანების, ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის დირექტორის 2024 წლის 30 აპრილის MES 7 24 0000481427 და 2024 წლის 24 მაისის MES 9 24 0000571078 სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტში 2024 წლის 26 თებერვლიდან 2024 წლის 27 აპრილამდე პერიოდში **სტაჟირების წარმატებით გავლისათვის** წინამდებარე ბრძანების თანდართული ფორმის შესაბამისად (N1 დანართი) გაიცეს სერტიფიკატები შემდეგ სტუდენტებზე:

ა) **იოსებ მექვაბიშვილი** - ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის „აგრარული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-3 სასწავლო წლის სტუდენტი;

ბ) **ლია დავითაძე** - ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის „აგრარული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-3 სასწავლო წლის სტუდენტი;

გ) **ლელა სურმანიძე** - ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის „ეკოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამის მე-4 სასწავლო წლის სტუდენტი.

2. სერტიფიკატების დამზადება და გაცემა უზრუნველყოს ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტმა და საქმისწარმოების სამსახურმა (კანცელარია).

3. ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების სტაჟიორებთან **(ლია დავითაძე და ლელა სურმანიძე)** მათი თანხმობისა და ორთვიანი ანაზღაურების გარეშე სტაჟირების წარმატებით გავლის საფუძველზე, გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულებები 2024 წლის 27 მაისიდან, **6** (ექვსი) **თვის** ვადით, ყოველთვიური შრომის ანაზღაურება - 500 ლარი.

4. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში: კონკურსები; ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აქტები).

5. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის აპარატს, ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), ტექნოლოგიურ ფაკულტეტს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტსა და სტაჟიორებს, ასევე განთავსდეს მათ პირად საქმეებში.

6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

**ადმინისტრაციის ხელმძღვანელი** **მერაბ დიასამიძე**

„ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის სტაჟიორთა სერტიფიცირებისა და მათთან შრომითი ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ“
ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2024 წლის 24 მაისის N01-12/89 ბრძანების

N1 დანართი

ბსუ BSU

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW – BATUMI SHOTA RUSTAVELI STATE UNIVERSITY

# სერტიფიკატი
# CERTIFICATE

ადასტურებს, რომ / Confirming that

---------- / ----------

წარმატებით გაიარა (26.02.2024-27.04.2024) სტაჟირება
ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტში

From 26.02.2024-27.04.2024 successfully had done
the practice at the Institute of Agrarian and Membrane Technologies of BSU

ბსუ-ს რექტორი: მერაბ ხალვაში
Rector: Merab Khalvashi

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი: მერაბ დიასამიძე
Chief of the Administration: Merab Diasamidze

სერტიფიკატის გაცემის საფუძველი: ბრძანება N_____; ____.05.2024 წ.